საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

08/07/2025

MES 6 25 0000909583

გადაწყვეტილება

შპს ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის „ნეუს“ „ბიზნესის ადმინისტრირების“ (180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 - ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. აკრედიტაციის დებულების 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ^1“ ქვეპუნქტის მიხედვით თუ საგანმანათლებლო პროგრამა პირველ (საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა) ან მე - 4 (სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა) სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ

შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ და სტანდარტის “მეტწილად შესაბამისობა” განპირობებულია ამავე სტანდარტის არაუმეტეს ერთი კომპონენტის შეფასებით, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით ამ დებულებით დადგენილი წესით დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ (არაუმეტეს 2 წლის ვადაში), რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში;

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 11 თებერვლის №136053 ბრძანების (ცვლილება ბრძანებაში №250566, 07/03/2025) საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების „ბიზნესის ადმინისტრირების“ (180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:

აკრედიტაციის საბჭომ 1.3 კომპონენტში დაამატა რეკომენდაცია:

„რეკომენდირებულია დაწესებულებამ შეიმუშავოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის კონკრეტული გეგმა.“ აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, აღნიშნულმა არ გამოიწვია 1-ლი სტანდარტის ცვლილება.

საბჭომ შეცვალა რეკომენდაცია 1.4 კომპონენტში და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: რეკომენდებულია ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში უზრუნველყოფილი იყოს თანმიმდევრულობა, სათანადო წინაპირობების მითითებით და განახლებული შინაარსი, მათ შორის ერთგვაროვანი გაფორმება, განახლებული ლიტერატურა და მკაფიოდ განსაზღვრული სწავლის შედეგები.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ^1“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ -

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის „ნეუს“ მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „ბიზნესის ადმინისტრირების“ (180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით - 2032 წლის 01 მარტამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა„ბიზნესის ადმინისტრირების“ (180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 08 ივლისის სხდომის №851523 ოქმის № 01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია დაწესებულებამ შეიმუშავოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის კონკრეტული გეგმა;
- რეკომენდებულია ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში უზრუნველყოფილი იყოს თანმიმდევრულობა, სათანადო წინაპირობების მითითებით და განახლებული შინაარსი, მათ შორის ერთგვაროვანი გაფორმება, განახლებული ლიტერატურა და მკაფიოდ განსაზღვრული სწავლის შედეგები;
- რეკომენდებულია პროგრამას დაემატოს მეწარმეობის სავალდებულო ძირითადი კურსი.
- რეკომენდებულია სტუდენტებისთვის გაცვლითი პროგრამების შეთავაზება.
- რეკომენდებულია სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისხელშეწყობა.
- რეკომენდებულია ნეუ-მ მონაწილეობა მიიღოს და ორგანიზება გაუწიოს კვლევაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს, როგორიცაა სამეცნიერო მისიები, კვლევაზე დაფუძნებული ტრენინგები, საერთაშორისო კონფერენციები და სხვა პერიოდული ღონისძიებები, თანამედროვე უნივერსიტეტის კვლევით დღის წესრიგთან სრული შესაბამისობის უზრუნველყსაყოფად.
- რეკომენდებულია ნეუ-მ პროგრამაში და პერსონალისთვის ხელი შეუწყოს კვლევის ინტერნაციონალიზაციას. მან უნდა დაამყაროს ორმხრივი კვლევითი შეთანხმებები, წაახალისოს საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობა და გაზარდოს აკადემიური პერსონალის მინიმალური კვლევითი დატვირთვა.
- რეკომენდებულია, განახლდეს ონლაინ ლიტერატურა და უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების ხელმისაწვდომობა.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 24 ივნისს.
6. საბჭო მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით აკრედიტაციის დებულებით დადგენილი წესით დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ 2 წლის ვადაში.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში

წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე